

მეცხეთ-ჯავახეთის და ბაკურიანი- ცხრაწყაროს მაღალბალახეულობის შედარებითი ანალიზი

შამილ შეთეკაური¹, ნანა ბარნაველი¹, ანა ქვლივიძე¹

ელ-ფოსტა: shetekauri@yahoo.com

¹ ბიოლოგიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მცენარეულობის ეს ტიპი კარგადაა წარმოდგენილი მეცხეთის მიდამოებში. საკმაოდ კარგადაა წარმოდგენილი სუბალპურ ტყის პირებზე და მათ ნაალაგარებზე. მართალია მეცხეთი მოკლებულია კოლხეთის ტიპის მაღალბალახეულობას, მაგრამ ადიგენის რაიონში, ბეშუმისკენ მიმავალ გზაზე და ტყის პირებზე გვხვდება ზოგიერთი მაღალბალახეულობის ფლოროცენოზური კომპლექსის სახეობა: *Pyrethrum macrophyllum*, *Knautia montana*, *Valeriana alliariifolia*, *Symphytum asperum*, *Campanula latifolia*, *Senecio rhombifolius*, *Cicerbita bourgaei*, *C. prenanthoides*, *Calamagrostis arundinacea*, *Seseli transcaucasicum*, *Atropa caucasica*; შეზღუდული გავრცელებით ხასიათდება მაღალბალახეულობა ნიალას ყურეში. აქ მაღალბალახეულობის მხოლოდ რამოდენიმე სახეობა გვხვდება (*Senecio thyrsothorus*, *Cirsium incanum*, *C. anatolicum* (= *C. cataonicum*).

მაღალბალახეულობას შეზღუდული გავრცელება ახასიათებს ჯავახეთში, თუმცა აქ არსებულ ნაირგვარ ჰაბიტატებში სახეობრივად საინტერესო მაღალბალახეულობის ფრაგმენტებია გავრცელებული. მცენარეულობის ეს ტიპი აქ, წარმოდგენილია ტყის დერივატებსა და ვულკანოგენურ ქვათაყრილებს შორის.

სამსარის მასივში ზ.დ. 2238 მ-ზე (38 T 0387003, UTM 4600689), და ვიდრე 2414 მ სიმაღლემდე, ქვათაყრილებს შორის მაღალბალახეულობას ქმნის- *Senecio rhombifolius*, *Aconitum orientale*, *A. nasutum*, *Delphinium speciosum*, *Chamerion angustifolium*, *Veratrum lobelianum*, *Cephalaria gigantea*, *Eleutherospermum cicutarium* (= *Smyrniium cicutarium*), *Angelica purpurascens*, *Symphytum asperum*, *Seseli transcaucasicum*, *Agasyllis latifolia*, *Knautia montana*.

მაღალბალახეულობის მცენარეულობა უფრო მრავალფეროვანია ბაკურიანი-ცხრაწყაროს მიდამოებში ვიდრე მეცხეთ-ჯავახეთში. ამას განაპირობებს მეცხეთ-ჯავახეთის შედარებით მშრალი კლიმატი და ასევე ტყის ფართობის სიმცირე, რომელთანაც დაკავშირებულია მაღალბალახეულობის წარმოშობა და ფორმირება.